

# განმარტებითი ბარათი

## „სანაპირო თევზჭერის შესახებ“

საქართველოს კანონის პროექტზე

### ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

#### ა.ა) კანონის მიღების მიზეზი:

საქართველოში მოსახლეობის ფართო მასა მისდევს თევზჭერას სპორტული, სამოყვარულო და ტურისტული გართობით. გარდა ჩამოთვლილი სახეებისა, მოსახლეობა ასევე ეწევა ტრადიციულ თევზჭერას და თევზჭერას მცირე მეწარმეობის თვალსაზრისით.

საქართველოს კანონში განსაზღვრულია საქმიანობის ლიცენზიის სახეები და სარგებლობის ლიცენზიის სახეები. ამ კანონის მუხლი 7 პუნქტი 5-ის თანახმად, თევზჭერა ექვემდებარება ლიცენზირებას და შესაბამისად რეგულირდება სათანადო კანონმდებლობითა და წესებით. იგივე კანონის მუხლი 24 „ნებართვის სახეები“ თევზჭერაზე ნებართვების გაცემა არ არის დაწესებული. დღემდე ეს საკითხი საკანონმდებლო ბაზით არ არის დარეგულირებული და ხშირია შემთხვევები ურთიერთპრეტენზიებისა მეთევზეებსა და მაკონტროლებელ სათანადო სტრუქტურებს შორის. თევზჭერის წესების დარღვევებთან დაკავშირებით რაც უდაოდ მოსაწესრიგებელია, ძირითადად ეს ეხება ტრადიციული და მცირე სამეწარმეო თევზჭერას, რომელსაც მეთევზეები ახორციელებენ ლიცენზიის გარეშე. ლიცენზიის მიღება დღემდე არსებული კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებით ყველასათვის მიუწვდომელია (ცხადდება ლოტები და შესაბამისად დიდია ფასები). თევზაობაზე ნებართვების წესი არ არსებობს. პრაქტიკამ აჩვენა, რომ შეიქმნა აუცილებლობა, მოხდეს სანაპირო თევზჭერის გამიჯვნა და შესაბამისი ჩარჩო კანონის მიღება მომქმედი კანონმდებლობის ჩარჩოში და შავი ზღვის კონვენციის პირობების დაცვით. ახალი კანონით უნდა დადგინდეს სანაპირო თევზჭერის სივრცე და ლანდშაფტი, განისაზღვროს ცხოველთა სამყაროს ობიექტები, განისაზღვროს მათი სახეობები და მოპოვების წესები, თევზჭერის ვადები და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალი, ზუსტად განსაზღვრულ ობიექტებსა და თევზჭერასთან დაკავშირებულ სამსახურებს შორის ვალდებულებები და უფლებები. უკანასკნელ პერიოდში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით გაიზარდა მოთხოვნილება არა მარტო ზღვის რესურსზე, არამედ გაიზარდა ზღვაში გასვლის სიხშირე, თევზჭერაზე სპორტული და სამოყვარულო აზარტი, რამაც საფუძველი შექმნა ცალკედ იქნეს მიღებული კანონი „სანაპირო თევზჭერის შესახებ“, რომლითაც დაცული იქნება როგორც ადამიანების უსაფრთხოება, ისე ბუნებრივი რესურსი, ასევე ყურადღება გამახვილდება ტრადიციულ თევზჭერაზე, რაც თავის მხრივ დადებითად იმოქმედებს ტურიზმის განვითარებაზე. აღნიშნული კანონის მიღება გამოიწვევს ცვლილებებისა და დამატებების შეტანას საქართველოს კანონებში. კერძოდ:

1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანას;
2. „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანას;
3. „გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას;
4. „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანას;
5. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანას;
6. „საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანას;

ჩამოთვლილ კანონებში განხორციელებული ცვლილებებითა და დამატებებით დარეგულირდება თევზჭერასთან დაკავშირებით აქამდე არსებული წესები და ისინი შეიცვლება ახალი წესებით.

თევზჭერასთან და მცირე ზომის საცურაო საშუალებების ტექნიკურ რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები	არსებული წესით	ახალი წესით
1. მცირე ზომის საცურაო საშუალებების რეგისტრაცია, მართვის მოწმობების გაცემა, ტექნიკური დათვალიერება	დროში შეზღუდული, მრავალჯერადი პროცედურები	რეგისტრაციის პროცედურების გამარტივება
2. ზღვაში გასვლის ნებართვა	ნებართვები მხოლოდ 15 დღე-ღამის ვადით (დღის საათებში)	ნებართვები გაიცემა მარტივი წესითა და შეუზღუდავი ვადით (ერთი ან მეტი წლით).
2 <sup>1</sup> . კონტროლი მცირე ზომის საცურაო საშუალებების ტექნიკურ რეგულირებაზე	ურთიერთდუბლირება	1. გამიჯვნა და მოწესრიგება
3. გარემოს რესურსებზე კონტროლი	ფუნქციონირება აღრევა და გაურკვევლობა	კონტროლის ერთიანი სისტემა
4. მეთევზეებისათვის თევზჭერაზე ნებართვების გაცემა	არსებობდა ლიცენზიები, რომლებიც გაიცემოდა აუქციონის წესით	სანაპირო თევზჭერას აღარ სჭირდება ლიცენზიები, არამედ ნებართვებს გასცემს გარემოს დაცვის სამსახური ერთი წლის ვადით

**ა.ბ) კანონის პროექტის მიზანი**

კანონპროექტის მიზანია: საქართველოს კანონებში განხორციელდეს ცვლილებები და განისაზღვროს ჩარჩო სანაპირო თევზჭერაზე. დადგინდეს სანაპირო თევზჭერასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და შესაბამისობაში იქნას მოყვანილი მომქმედ კანონმდებლობასთან. დადგინდება კონკრეტული ცხოველთა სამყაროს ობიექტები, რომელიც დაექვემდებარება სანაპირო თევზჭერას. სახეობების მიხედვით განისაზღვრება მოპოვების წესები, ვადები და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღი და მოწყობილობები, დადგინდება შიდა წყალსაცავებში და სანაპირო თევზჭერისათვის წყლის ყველა ტიპის ზომამცირე სატრანსპორტო საშუალებების (ნევეები, ნახევარბარკასები, მოტოფელუგები, მცირე სიმძლავრის კატარღები და სხვა). ყოველივე ზემოთაღნიშნული ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც შავი ზღვის კონვენციის ქვეყანაში, ამდღედ და დაიხვეწოს თევზჭერის კულტურა, რეაბილიტირება მოხდეს ტრადიციული თევზჭერის, საინტერესო იქნება ტურისტებისათვის, დაცული იქნეს უსაფრთხოების წესები და სათანადოდ ბუნებრივი რესურსები.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი**

კანონპროექტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოხდება გამიჯვნა სანაპირო თევზჭერასა და საზღვაო თევზჭერას შორის, სანაპირო თევზჭერა განსხვავებით საზღვაო თევზჭერისაგან განხორციელდება ნებართვების საფუძველზე. კანონით ზუსტად განსაზღვრული წესებით უფლება მიეცემათ საქართველოს მოქალაქეებს აწარმოონ სამეწარმეო, სამოყვარულო და სპორტული თევზჭერა, წელიწადის ნებისმიერ დროს „სანაპირო თევზჭერის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესებისა და ნორმების დაცვით.

**ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი დაფინანსების წყარო**

აღნიშნული კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა საშემოსავლო ნაწილზე**

ვინაიდან ამ კანონით შემოდის სანებართვო მოსაკრებელი წელიწადში ერთჯერადი გადახდის ვალდებულებით სამოყვარულო-სპორტული თევზაობა 5 ლარი, სამეწარმეო 20 ლარი, ამასთან თევზჭერა ტერიტორიულ წყლებში და მიმდებარე ეკონომიურ ზონაში იქნება ლიცენზირებული და იგი განხორციელდება მომქმედი კანონმდებლობით, ისე, რომ არ მოხდება ურთიერთ ხელის შეშლა, ამდენად საბიუჯეტო შემოსავლები საკმაოდ გაიზრდება კანონის მიღების შემთხვევაში, ისე რომ არ დაზარალდება ლიცენზირებული თევზჭერის მსურველების ინტერესები და ამავე დროს არ შემცირდება ბიუჯეტში შემოსავლები. პრაქტიკამ აჩვენა, რომ თევზჭერაზე ლიცენზიის მიღების მსურველთა რაოდენობა ძალიან მცირეა, ისე, როგორც 2007 წელს გარემოს დაცვის მიერ გამოცხადდა ტენდერი და გაიყიდა გამოცემული კვოტების მხოლოდ 30%.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**

სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

იმ პირობის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტი, გავრცელდება ფინანსური ზეგავლენა, რომელიც ძალიან უმნიშვნელოა და მხოლოდ სიმბოლურია. პირიქით, მას ექნება დადებითი შედეგი იმ მხრივ, რომ ყოველი პირი, ვინც ტრადიციულად დასაქმებულია თევზჭერით, ვინც მოყვარულია თევზჭერის გართობით, თავს იგრძნობს როგორც კავშირის წევრი და გაიზრდება მისი ინტერესიცა და აზარტიც, უფრო მეტად მოექცევა საკანონმდებლო ჩარჩოში და მეტად გაათვითცნობიერებს ბუნებრივი რესურსების ობიექტებისადმი ყურადღების საჭიროებას.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესის (პრინციპი)**

კანონპროექტით სანაპირო თევზჭერის ნებართვებისათვის დაწესდება ერთჯერადი გადასახადი დადგენილი ოდენობით. გადასახადის ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს კანონით „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“.

**გ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

წინამდებარე კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

ეს კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან. პირიქით, შესაბამისობაში მოდის შავი ზღვის ქვეყნების კონვენციასთან.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:**

კანონპროექტის მომზადების პროცესში ჩატარდა კონსულტაციები აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან. კერძოდ:

1. შავი ზღვის კონვენციის აჭარის ინსპექცია;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო;
3. საქართველოს ერთიანო სატრანსპორტო ადმინისტრაციის აჭარის სახელმწიფო რეგისტრაციის სამსახური;
4. სასახლვრო პოლიციის სამსახური;
5. აჭარის წყალზე სამაშველო სამსახური (კავშირი);
6. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის შავი ზღვის ფილიალი.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

წერილობითი შეფასებები არ არსებობს. კომიტეტის სხდომაზე მოწონებულ იქნა „სანაპირო თევზჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი:**

კანონპროექტის ავტორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის წევრი მირიან ნუმანიშვილი და კომიტეტის აპარატის უფროსი ნოდარ ირემაძე.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:**

კანონპროექტის ინიციატორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.